# სსიპ – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის

## ბრძანება №74
## 2025 წლის 26 დეკემბერი

## ქ. თბილისი

**„ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 17.11.2025, სარეგისტრაციო კოდი: 040090000.05.001.102853) მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

**მუხლი 1**

„ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 15.06.2017, 010240060.57.069.016110) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 22-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სატენდერო წინადადების წარდგენის საფასურის ოდენობა შეადგენს 100 ლარს.“.

**მუხლი 2**

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2026 წლის 1 იანვრიდან.

**სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს**
**თავმჯდომარე** **ლევან რაზმაძე**

**სსიპ – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის**

**ბრძანება №73**
**2025 წლის 26 დეკემბერი**

**ქ. თბილისი**

**„სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის და საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის გამოქვეყნების საფასურის ოდენობებისა და გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 23 ივნისის №15 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 17.11.2025, სარეგისტრაციო კოდი: 040090000.05.001.102853) მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

**მუხლი 1**

„სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის და საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის გამოქვეყნების საფასურის ოდენობებისა და გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 23 ივნისის №15 ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 23/06/2011, 210020090.21.014.016022) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

**1. ბრძანების:**

**ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**„სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის და საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის გამოქვეყნების საფასურის გადახდისა და დაბრუნების წესის დამტკიცების შესახებ“**;

**ბ) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1. დამტკიცდეს „სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის და საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის გამოქვეყნების საფასურის გადახდისა და დაბრუნების წესი“.“.

**2. ბრძანებით დამტკიცებული წესის:**

**ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**„სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის და საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის გამოქვეყნების საფასურის გადახდისა და დაბრუნების წესი“**;

**ბ) პირველი მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„3. სისტემის მეშვეობით ერთი სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის გამოქვეყნებისათვის საფასურის ოდენობა შეადგენს 100 ლარს.“;

**გ) მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„2. სისტემის მეშვეობით ერთი საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის გამოქვეყნებისათვის საფასურის ოდენობა შეადგენს 100 ლარს.“.

**მუხლი 2**

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2026 წლის 1 იანვრიდან.

**სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს**
**თავმჯდომარე** **ლევან რაზმაძე**

# სსიპ – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის

## ბრძანება №77
## 2025 წლის 26 დეკემბერი

## ქ. თბილისი

**„კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 22 მაისის №7 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 17.11.2025, სარეგისტრაციო კოდი: 040090000.05.001.102853) მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

**მუხლი 1**

„კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 22 მაისის №7 ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 25.05.2015, 040170030.57.069.016061) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის წესისა და პირობების“ მე-11 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საკონკურსო წინადადების წარდგენის საფასურის ოდენობა შეადგენს 100 ლარს.“.

**მუხლი 2**

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2026 წლის 1 იანვრიდან.

**სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს**
**თავმჯდომარე** **ლევან რაზმაძე**

**სსიპ – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის**

**ბრძანება №72**
**2025 წლის 26 დეკემბერი**

**ქ. თბილისი**

**„სახელმწიფო შესყიდვის ხელოვნურად დაყოფის გამოვლენის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 25 დეკემბრის №27 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 17.11.2025, სარეგისტრაციო კოდი: 040090000.05.001.102853) მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

**მუხლი 1**

„სახელმწიფო შესყიდვის ხელოვნურად დაყოფის გამოვლენის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 25 დეკემბრის №27 ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 29.12.2015, 040170050.57.069.016081) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო შესყიდვის ხელოვნურად დაყოფის გამოვლენის მეთოდოლოგიის“:

**1. მე-2 მუხლის:**

**ა) მე-2 პუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის $2^1$ პუნქტი:**

„$2^1$. სახელმწიფო შესყიდვის ხელოვნურად დაყოფად აგრეთვე არ განიხილება ერთი საბიუჯეტო წლის განმავლობაში შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების ერთი დაფინანსების წყაროდან ცალ-ცალკე შესყიდვა, თუ შესყიდვა ხორციელდება შესყიდვის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.“;

**ბ) მე-4 პუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 პუნქტი:**

„5. ელექტრონული ტენდერის პრეისკურანტის საფუძველზე ჩატარებისას, ხელოვნურად დაყოფის მიზნებისთვის, გაითვალისწინება შესყიდვის ობიექტის სახელშეკრულებო ღირებულება.“.

**2. მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**„მუხლი 3. რისკის მქონე შესყიდვები**

ხელოვნურად დაყოფა შესაძლებელია გამოწვეულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ხორციელდება გამარტივებული შესყიდვა მონეტარული ზღვრის დაცვით.“.

**3. მე-4 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ე) შესყიდვის საფუძველი;“.

**4. მე-5 მუხლის:**

**ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1. ამ მეთოდოლოგიის მე-4 მუხლით გათვალისწინებული მონაცემების გამოყენებით, ხელოვნური დაყოფის გამოსავლენად, გამარტივებული შესყიდვის მონეტარული ზღვრის დაცვით დადებული ხელშეკრულება უნდა დაჯამდეს მის წინმსწრებ, იმავე დანაყოფის კოდზე გაფორმებული შემდეგი ხელშეკრულებების ჯამურ ღირებულებასთან:

ა) მონეტარული ზღვრის დაცვით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დადებული ხელშეკრულება/ხელშეკრულებები;

ბ) ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული ხელშეკრულება/ხელშეკრულებები;

გ) კონკურსის საშუალებით დადებული ხელშეკრულება/ხელშეკრულებები;

დ) გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული გამარტივებული შესყიდვის განხორციელების შედეგად დადებული ხელშეკრულება/ხელშეკრულებები;

ე) გეოგრაფიული ფაქტორით გამოწვეული ცალკე პროცედურით განხორციელებული შესყიდვის შედეგად დადებული ხელშეკრულება/ხელშეკრულებები;

ვ) რაციონალური ხარჯვის პრინციპით გამოწვეული ცალკე პროცედურით განხორციელებული შესყიდვის შედეგად დადებული ხელშეკრულება/ხელშეკრულებები;

ზ) წინასწარ უცნობი, ობიექტური პირობებით გამოწვეული ცალკე პროცედურით განხორციელებული შესყიდვის შედეგად დადებული ხელშეკრულება/ხელშეკრულებები.";

**ბ) მე-2 პუნქტის:**

**ბ.ა) „ბ" ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;**

**ბ.ბ) „გ" ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;**

**გ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„3. ხელოვნურ დაყოფად აგრეთვე ითვლება შემთხვევები, როდესაც შემსყიდველი ორგანიზაციისთვის წინასწარ არის ცნობილი იმავე საბიუჯეტო წელს, ერთსა და იმავე დაფინანსების წყაროს ფარგლებში, ერთსა და იმავე დანაყოფის კოდზე შესყიდვის აუცილებლობა, თუმცა, მიუხედავად ამისა იგი, პირველ ეტაპზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ხელშეკრულებას/ხელშეკრულებებს დებს მონეტარული ზღვრის დაცვით, ხოლო მონეტარული ზღვრის ამოწურვის შემდეგ იწყებს სახელმწიფო შესყიდვის წლიური გეგმის კორექტირებასა და ელექტრონული ტენდერ(ებ)ის/კონკურს(ებ)ის ჩატარებას.".

**მუხლი 2**

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2026 წლის 1 იანვრიდან.

**სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს**
**თავმჯდომარე** **ლევან რაზმაძე**

# სსიპ – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის

## ბრძანება №75
## 2025 წლის 26 დეკემბერი

## ქ. თბილისი

**„კერძო შემსყიდველის მიერ სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით შესყიდვების განხორციელებისა და ამ სისტემით სარგებლობის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 30 ივლისის №8 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

**მუხლი 1**

„კერძო შემსყიდველის მიერ სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით შესყიდვების განხორციელებისა და ამ სისტემით სარგებლობის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 30 ივლისის №8 ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 30/07/2018, 040090000.57.069.016142) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული „კერძო შემსყიდველის მიერ სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით შესყიდვების განხორციელებისა და ამ სისტემით სარგებლობის წესისა და პირობების“:

**1. მე-7 მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„6. კერძო შესყიდვის გამოცხადებისთვის კერძო შემსყიდველი იხდის საფასურს 100 ლარის ოდენობით, კერძო შესყიდვის პირობების გამოქვეყნების მომენტში, საბანკო პლასტიკური ბარათის მეშვეობით. კერძო შესყიდვის პირობების გამოქვეყნდება კერძო შესყიდვის გამოცხადების საფასურის გადახდისთანავე.“.

**2. მე-8 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„3. კერძო შესყიდვაში წინადადების წარდგენისთვის მიმწოდებელი იხდის წინადადების წარდგენის საფასურს 100 ლარის ოდენობით, საბანკო პლასტიკური ბარათის მეშვეობით.“.

**მუხლი 2**

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2026 წლის 1 იანვრიდან.

**სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს**
**თავმჯდომარე** **ლევან რაზმაძე**

# სსიპ – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის

## ბრძანება №76
## 2025 წლის 26 დეკემბერი

## ქ. თბილისი

## „სახელმწიფო შესყიდვების სფეროში მოქმედი ევროკავშირის დირექტივებით დადგენილი მონეტარული ზღვრების გამოყენების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2019 წლის 21 აგვისტოს №3 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

**მუხლი 1**

„სახელმწიფო შესყიდვების სფეროში მოქმედი ევროკავშირის დირექტივებით დადგენილი მონეტარული ზღვრების გამოყენების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2019 წლის 21 აგვისტოს №3 ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 22.08.2019, 040170050.57.069.016151) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო შესყიდვების სფეროში მოქმედი ევროკავშირის დირექტივებით დადგენილი მონეტარული ზღვრების გამოყენების წესისა და პირობების“:

**1. მე-3 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1. ამ წესის მიზნებისთვის, სახელმწიფო შესყიდვების სფეროში მოქმედი ევროკავშირის დირექტივებით დადგენილი მონეტარული ზღვრებია:

ა) საქონლისა და მომსახურების შემთხვევაში – 140 000 ევროს ეკვივალენტი ლარში, შესყიდვის გამოცხადების დღისთვის/გამარტივებული შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების სისტემაში შექმნილ გამოქვეყნების/შეთანხმების მოდულში გამოქვეყნების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით;

ბ) სამუშაოს შემთხვევაში – 5 404 000 ევროს ეკვივალენტი ლარში, შესყიდვის გამოცხადების დღისთვის/გამარტივებული შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების სისტემაში შექმნილ გამოქვეყნების/შეთანხმების მოდულში გამოქვეყნების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით.“.

**2. მე-4 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1. თუ კონკრეტული შესყიდვისას საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოს ღირებულება შეადგენს ან აღემატება ამ წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ მონეტარულ ზღვრებს, სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის გასაცნობად, აგრეთვე სატენდერო წინადადების წარსადგენად განისაზღვრება არანაკლებ 30 დღე, რომელთაგან სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის გასაცნობად განკუთვნილია სულ მცირე პირველი 25 დღე, ხოლო სატენდერო წინადადების წარსადგენად – 5 დღე.“.

**მუხლი 2**

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2026 წლის 1 იანვრიდან.

**სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს**
**თავმჯდომარე** **ლევან რაზმაძე**